საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი № 2

ქ. ზუგდიდი 14 აგვისტო 2020 წ.

რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საბჭოს 27 წევრიდან 17 წევრი. სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **მალხაზ თორია** - სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.
2. **ლევან მაკალათია** -აბაშის მუნიციპალიტეტის მერი.
3. **მამუკა კვიტაშვილი** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
4. **გელა ხოშტარია** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
5. **ბესიკ ჭეჟია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
6. **თაზო ფაცაცია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
7. **ალექსანდრე გრიგალავა** - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი.
8. **ალექსი გაბისონია** - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
9. **ალექსანდრე ახვლედიანი** - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
10. **ლევან კუპრეიშვილი** - სენაკის მუნიციპალიტეტის მერი.
11. **კახაბერ რუსია** - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
12. **ბადრი კალანდარიშვილი** - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
13. **ბესიკ ფარცვანია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი.
14. **დარეჯან დადიანი** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
15. **გოჩა ქაჯაია** - ხობის მუნიციპალიტეტის მერი.
16. **ედიშერ ჯობავა** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
17. **მამუკა ქარდავა** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომის მუშაობას ესწრებოდნენ:

1. **მაკა ფიფია** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში (სხდომის მდივანი).

2. **ნინო ვიბლიანი** - სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე.
3. **ნუკრი ხასია** - სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე.
4. **ნუგზარ გაბელია** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი.
5. **ლაშა გვასალია** - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსი.
6. **აკაკი სარალიძე** - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსის მოადგილე.
7. **პაატა ლაგვილავა** - დამხმარე მოსამსახურე - სახელმწიფო რწმუნებულის მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში კონსულტანტი.
8. **მერი შეგელაია** - ამხმარე მოსამსახურე - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდის ადმინისტრატორი.

სახელმწიფო რწმუნებულმა სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი:

1. 2014 – 2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ცვლილებების შეტანის მიზნით კორექტირებული 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმის განხილვისა და მოწონების თაობაზე.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაცია, რომელმაც განმარტა, რომ რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ მომზადებულ იქნა 2014-2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ცვლილების შეტანის მიზნით კორექტირებული 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმის (2020 წლის) პროექტი, რომელსაც განსახილველად წარმოგვიდგენს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი ნუგზარ გაბელია.

ნუგზარ გაბელიამ აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელება ძირითადად გამოწვეულია მუნიციპალიტეტების მუშაობის პროცესში გამოვლენილი ახალი პრიორიტეტული მიმართულებებით, რამაც გამოიწვია დამტკიცებულ სტრატეგიაში (სამოქმედო გეგმა 2018-2021 წლებისთვის) დამატებით ახალი პროექტების ასახვა და არსებული პროექტების კორექტირება.

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების საჭიროებებიდან გამომდინარე ნუგზარ გაბელიამ საკონსულტაციო საბჭოს წარუდგინა დარგობრივი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განახლებული სამოქმედო გეგმის პროექტის ერთიანი ცხრილი (დანართი № 1).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს განიხილონ წარმოდგენილი პროექტი/წინადადებები და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მიერ განხილულ იქნა პროექტი/წინადადება და შენიშვნები არ გამოთქმულა.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს 2014-2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმა (თან ერთვის ელ.ვერსია CD დისკი სახით).
2. 2014-2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმა განსახილველად წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შედეგად სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე /მ. თორია/

სხდომის მდივანი /მ. ფიფია/